პროლეტარეებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO i TBILISSKOGO KOMITETOV KP (b) GRUZII i SOVETOV DEPUTATOV TRUDYAŠČIHSYA GRUZINSKOY SSR

პარასკევი, 1 სექტემბერი, 1944 წ. № 177 (7130). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ მაღინოვსკის

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, დღეს, 30 აგვისტოს, ბრძოლით დაიკავეს ქალაქი და რუმინეთის ნავთის მრეწველობის ძირითადი ცენტრი—პლოეშტი.

ამრიგად, **ბუზეუს** და **პლოეშტის** დაკავებით დამთავრებულია გერმანელ დამპყრობთაგან რუმინეთის ყველა ნავთიანი რაიონის განთავისუფლება.

პლოეშტის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ტროფიმენკოს**, გენერალ-ლეიტენანტ **პეტრუშევსკის**, გენერალ-ლეიტენანტ **გორიაჩევის**, გენერალ-მაიორ **ზოლოტუხინის**, პოლკოვნიკ **კარლოვის**, პოლკოვნიკ **კონევის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ **ლებედევის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **გუსევის**, პოლკოვნიკ **ჩერნოვის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ **კურკინის**, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **კრასჩენკოს**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **საველიევის**, პოლკოვნიკ **შუტოვის**, პოდპოლკოვნიკ **კოვალიოვის**, პოდპოლკოვნიკ **პავლოვსკის**, პოლკოვნიკ **ოსადჩის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **გოლუბოვის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **ვიტრუკის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **ცირლინის**, პოლკოვნიკ **ფადეევის**, პოლკოვნიკ **პონომაშის**, პოდპოლკოვნიკ **გოლუკოვიჩის**, პოლკოვნიკ **მიასნიკოვის**, პოდპოლკოვნიკ **კორჟუკოვის**, პოლკოვნიკ **კოვალენკოს** მესანგრეებმა; პოლკოვნიკ **აბაფონოვის**, პოლკოვნიკ **შერვუდის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი **პლოეშტის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**პლოეშტის**“ სახელწოდების მოსანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 30 აგვისტოს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს **უკრაინის** მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს **პლოეშტი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ **პლოეშტის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 30 აგვისტო.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ მაღინოვსკის

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, სწრაფი შეტევის შედეგად, გაანადგურეს გერმანიის ჯარების დაჯგუფება პლოეშტის რაიონში და პლოეშტის სამხრეთით და დღეს, 31 აგვისტოს, შევიდნენ ქალაქ ბუქარესტში, ამით მოსპეს საფრთხე, რომელიც გერმანელებისაგან მოელოდა რუმინეთის დედაქალაქს ჩრდილოეთიდან.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ **ბუქარესტის** მისადგომებზე წარმოებულ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **მანაბაროვის**, გენერალ-მაიორ **ტერენტიევის**, გენერალ-მაიორ **აქიმენკოს**, გენერალ-მაიორ **ოსტაშენკოს**, გენერალ-მაიორ **კარპუხინის**, პოლკოვნიკ **სიდორენკოს**, გენერალ-მაიორ **ოგოროდოვის**, პოლკოვნიკ **სოგლოევის**, გენერალ-მაიორ **ტრავნიკოვის**, პოლკოვნიკ **გიზატულინის**, გენერალ-მაიორ **ზდანოვიჩის**, პოლკოვნიკ **ტკაჩევის**, პოლკოვნიკ **ესინის**, პოლკოვნიკ **ვოლოშინის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ **ფომინის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **გუსევის**, პოლკოვნიკ **ზიკოვის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ **კურკინის**, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **კრასჩენკოს**, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ვოლკოვის**, პოლკოვნიკ **კოლესნიკოვის**, პოლკოვნიკ **მირონოვის**, პოლკოვნიკ **სელეზნევის**, პოდპოლკოვნიკ **ოვჩაროვის**, პოდპოლკოვნიკ **მიხნოს**, პოლკოვნიკ **რეშეტნიკოვის**, პოლკოვნიკ **ჩუნიხინის**, პოდპოლკოვნიკ **ინდეიკინის**, პოლკოვნიკ **ხვატოვის**, პოდპოლკოვნიკ **ბელოვის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **გოლუბოვის**, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **სტეპიჩევის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **პოდგორნის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **ვიტრუკის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **ცირლინის**, პოლკოვნიკ **ფადეევის**, პოლკოვნიკ **ბოგდანოვის**, პოლკოვნიკ **ისაევის**, პოდპოლკოვნიკ **გოლუკოვიჩის**, პოლკოვნიკ **მიასნიკოვის**, პოდპოლკოვნიკ **კორჟუკოვის** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ლეონოვის**, პოლკოვნიკ **შერვუდის**, პოლკოვნიკ **მაკარენკოს** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ **ბუქარესტის** მისადგომებზე წარმოებულ ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**ბუქარესტის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 31 აგვისტოს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით სამას ოცდაოთხი ქვემეხის ოცდაოთხი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს **უკრაინის** მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაამარცხეს გერმანელთა დაჯგუფება **ბუქარესტის** მისადგომებზე და უზრუნველჰყვეს რუმინეთის დედაქალაქის უშიშროება.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ **ბუქარესტის** მისადგომებზე წარმოებულ ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 31 აგვისტო.

გენერალ-პოლკოვნიკ ა. ა. ედანოვს და გენერალ-პოლკოვნიკ ა. ს. შჩერბაკოვს გადაეცათ კუტუზოვის I ხარისხის ორდენები

გუშინ, 31 აგვისტოს, კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა კუტუზოვის I ხარისხის ორდენი გადასცა გენერალ-პოლკოვნიკ ა. ა. ედანოვს და **გენერალ-პოლკოვნიკ ა. ს. შჩერბაკოვს,** რომლებიც დაჯილდოებული არიან გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ განმარტა, რომ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხარჯთ დახმარებისა და პენსიების დანიშვნისას შრომის საერთო სტაჟში ითვლება წითელ არმიაში, სამხედრო-საზღვაო ფლოტში სამსახურისა და პარტიზანულ რაზმებში ყოფნის დრო. ეს დრო ჩაითვლება განუწყვეტელ მუშაობის სტაჟში, თუ მუშაკი მუშაობას დაიწყებს სამი თვის განმავლობაში წითელი არმიიდან, სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან განთავისუფლების ან პარტიზანული რაზმიდან დაბრუნების შემდეგ. ახალი წესი გამოყენებულ იქნება როგორც ისეთი პირების მიმართ, რომელთაც უმუშავნიათ მუშად ან პროსამსახურად, აგრეთვე ისეთი პირების მიმართ, რომელთაც არ უმუშავნიათ სამხედრო სამსახურში გაწყვეტამდე ან პარტიზანულ რაზმში შესვლამდე. (საკადესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
30 აგვისტოს ოპერაციული ცნობა

30 აგვისტოს განმავლობაში ქალაქ **ტარტუს** ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშებს.

ქალაქ **ლომჟის** სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მათ შორის **ხიმჟენტოვო, რადგოშჩი, ჟოხი-მილენი, დომბეკი, გრონდი, ოსუხოვო ნოვე, პორე

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პლენუმები

სტალინის რაიონი

28 აგვისტოს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის X პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი: 1. თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მუშაობა თავდაცვითი კადრების მომზადების დარგში და 2. ანგარიში საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში მიღების შესახებ 1944 წლის 15 მაისიდან 28 აგვისტომდე.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ტატიშვილმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სტალინის რაიონის თავდაცვა-ავიაქიმის მრავალმა ორგანიზაციამ სამამული ომის პერიოდში თავდაცვითი კადრების მომზადების დარგში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. კარგი მუშაობით გამოირჩევიან თამბაქოს ფაბრიკის, რძის ქარხნის, ფარმაკო-ქიმიური ქარხნის და სხვ. თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები. ცუდად მუშაობენ მაუდ-კამვოლის ფაბრიკის, ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს, კინოსტუდიის, სტადიონ „დინამოს“ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები. პირველადი პარტიული ორგანიზაციები და თავდაცვა-ავიაქიმის რაიონული საბჭო სუსტად ხელმძღვანელობენ ამ საწარმო-დაწესებულებებში თავდაცვითი კადრების მომზადებას.

მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ბერუჩაშვილმა (ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველო), სუდრაბიანმა (თამბაქოს ფაბრიკა), ხარაზიანმა (კიროვის სახელობის ქარხანა), ჩარეევმა (მაუდის ფაბრიკა), სახოკიამ (საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი), აბაიშვილმა (თავდაცვა-ავიაქიმის რაიონული საბჭო) და მიზარახინმა (რაიკომი).

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. გევორქიანი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ოსიპოვამ (თამბაქოს ფაბრიკა), სუკიასოვამ (კალინინის სახელობის ქარხანა), აფანჩენკომ (კუიბიშევის სახელობის ქარხანა), გიგინეიშვილმა (სტომატოლოგიური ინსტიტუტი) და სხვ.

ორივე საკითხზე სიტყვით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. ლოლაძე.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

კიროვის რაიონი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის IV პლენუმმა, რომელიც 28 აგვისტოს შესდგა, განიხილა რაიკომის მდივნის ამხ. კ. ხოშტარიას მოხსენება კიროვის რაიონის საწარმოებისა და არტელების მიერ 1944 წლის 7 თვის საწარმოო გეგმების შესრულების შესახებ.

—რაიონის საწარმოები—განაცხადა მომხსენებელმა, — თვიდან თვემდე გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს. 21 ძირითადმა საწარმომ 7 თვის განმავლობაში ფრონტსა და სამშობლოს 1.169.300 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცა. განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს სარეწაო კავშირისა და ინვალიდთა კოოპერაციის სისტემის არტელებმა, მეორე და მეექვსე სამკერვალო ფაბრიკებმა, პირველმა და მეორე ფეხსაცმლის ფაბრიკებმა, „მონკავშირის“ წარმოებამ, ბამბისა და საგალანტერიო ფაბრიკებმა.

ზოგი საწარმოს პარტიული ორგანიზაციები და სამეურნეო ხელმძღვანელები, — სთქვა ამხ. ხოშტარიამ,—ღრმად არ სწვდებიან წარმოების ეკონომიკის საკითხებს. ტრიკოტაჟის ფაბრიკაში გეგმები სრულდებოდა არა შრომის ნაყოფიერების ამაღლების საფუძველზე, არამედ წარმოებაში მუშების მეტი რაოდენობის დაბანდებით, რის გამოც აქ წელს ერთეული მუშის საშუალო შრომის ნაყოფიერება განუწყვეტლივ მცირდებოდა.

ამხ. ხოშტარიამ გააკრიტიკა მთელი რიგი საწარმოები (ძაფსახვევი ფაბრიკა, № 2 ტყავის ქარხანა, არტელები „ქიმტემპი“, „შტამპი“, ქიმკომბინატი), რომლებმაც შეასუსტეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის დაცვისათვის ბრძოლა.

ამხ. ხოშტარიას მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ჩაღრანოვმა (მეორე სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი), ვაშაკიძემ (ქიმკომბინატის პარტიბიუროს მდივანი), მაცუკატოვმა (ძაფსახვევი ქარხნის ტექნიკური ხელმძღვანელი), აბაიშვილმა (სარეწაო კავშირის გამგეობის თავმჯდომარე), მალაიანმა (№ 1 ტყავის ქარხნის პარტბიუროს მდივანი), პარტსიანმა (პირველი ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორი), ნახუცრიშვილმა (№ 2 ტყავის ქარხნის პარტბიუროს მდივანი) და სეხნიაშვილმა (მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის ტექნიკური ხელმძღვანელი).

ანგარიში 1944 წლის 20 მაისიდან 20 აგვისტომდე პარტიაში მიღების შესახებ გააკეთა რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ამხ. ლ. კუნიცკაიამ.

რაიონის მთელმა რიგმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, რის შედეგადაც პარტიაში მიღებულ იქნა მოწინავე სტახანოველები, ლენინ-სტალინის საქმისათვის თავდადებული ადამიანები. ამასთან პლენუმზე აღინიშნა, რომ რაიონის 17 პირველადს პარტორგანიზაციაში („პლასტრეზინის“ ქარხანა, არტელი „შტამპი“ და სხვ.) საანგარიშო პერიოდში პარტიაში მიღება არ უწარმოებიათ. ზოგ პარტორგანიზაციაში სუსტად მუშაობენ კანდიდატებთან, რის გამოც 412 პარტიის წევრობის კანდიდატიდან 112 კაცს კარგახანია საკანდიდატო სტაჟი გაუვიდა.

ამხ. კუნიცკაიას მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 4 კაცმა.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის მოადგილემ მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში ამხ. ბ. ლელიანმა.

სწავლობენ წარმოების ეკონომიკას

ზესტაფონი, („კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტისაგან). კარგი საქმე წამოიწყო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ალ. მესხი). მისი თაოსნობით ქარხანაში შეიქმნა წრე, სადაც ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივი სწავლობს წარმოების ეკონომიკის საკითხებს. წრეში გაერთიანებული არიან საამქროს უფროსები, ცვლის უფროსები, ტექნოლოგები, ოსტატები. წრეს ხელმძღვანელობს მ. ტოვსტოლიტი. საუბრებს ატარებენ ქარხნის საგეგმო განყოფილების უფროსი ელ. გაჩეჩილიძე, ინჟინერ-მექანიკოსი ვ. რუხაძე, ქარხნის მთავარი ინჟინერი ვლ. მელაძე და სხვ.

ქარხნის აქტივი წრეში ეცნობა წარმოების დაგეგმვის, მომზირნეობის, ტექნოლოგიის საკითხებს, თვითღირებულების ელემენტებს, შრომის ნაყოფიერების ზრდის წყაროებს და სხვ. მსმენელები წარმატებით ეუფლებიან წარმოების ეკონომიკას.

პ. ჭიოკაძე

კარგად გამომცხვარი. მაღალხარისხოვანი პური მოსახლეობას

(საქართველოს პურის ტრესტის აქტივის რესპუბლიკური თათბირი)

შესდგა საქართველოს პურის ტრესტის აქტივის რესპუბლიკური თათბირი. თათბირმა განიხილა ტრესტის მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესების საკითხები. ტრესტის დირექტორის ამხ. პ. სოხაძის, ტრესტის ინჟინრის ამხ. ხეჩინაშვილის და მთავარი ბუხჰალტრის ამხ. უთურგაურის მიერ თათბირზე გაკეთებული მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელ ხანებში ტრესტმა შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა, მაგრამ მთელ რიგ მიღწევებთან ერთად მის საქმიანობას ჯერ კიდევ ახასიათებს მრავალი ნაკლი.

საქართველოს პურის ტრესტი, რომელიც მომსახურებას უწევს მომხმარებელთა ფართო მასებს გამომცხვარი პურის მიწოდებით, მოვალეა მუშაობდეს უნაკლოდ. საჭიროა ტრესტმა ისე მოაწესრიგოს საქმე, ყველა მის ქვემდებარე პურსაცხობებში, რომ ცხვებოდეს კარგი პური, კარგად ინახებოდეს იგი და მომხმარებლამდე უნაკლოდ მიდიოდეს. ახლა არის შემთხვევები, როცა პურის ცხობის ხარისხი დაბალია და ამავე დროს ახალგამომცხვარ პურს ცუდად ინახავენ. პურის ხარისხის გაუარესებას ტრესტის მუშაკთა კოლექტივში შეპარული ზოგი ეღირსი პიროვნება პირადი გამორჩენისათვის იყენებს. ხშირად აქვს ადგილი ზედნადები ხარჯების ხელოვნურად გაბერვას (თბილისის პურის პირველი ქარხანა), ფქვილის გადახარჯვას (მაკარონის ფაბრიკა, პურის პირველი და მეორე ქარხნები) და სხვ. პურის ხარისხის გაუარესება ზოგჯერ გამოწვეულია ხელოვნურად: ფქვილს მომეტებულად ასხამენ წყალს, არ იცავენ ტემპერატურის რეჟიმს, გამომცხვარ პურს ზედმეტ სინესტეს უნარჩუნებენ და ა. შ.

ზოგან დაუშვებელ უპასუხისმგებლობას იჩენენ გამომცხვარი პურის ტრანსპორტირებისას. თათბირზე აღინიშნა, რომ პურის ხარისხისათვის თვალყურის დევნების საქმე ყველგან არ დგას სათანადო სიმაღლეზე.

პურსაცხობებს ეძლევათ კარგი ხარისხის ფქვილი. მათ აქვთ ყველა საშუალება მაღალხარისხოვანი პური მიაწოდონ მოსახლეობას, მაგრამ ყველგან არ აკეთებენ ამას, ცდილობენ ხელოვნურად მიაღწიონ ე. წ. ზედნაცხობის ნორმების გადაჭარბებას.

თათბირმა ყურადღება გაამახვილა პურის ცხობის ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებაზე და იმსჯელა მთელ რიგ იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია პურის ცხობის საქმის სათანადოდ მოწესრიგებასთან.

მოხსენებების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. გ. ჯოხთაბერიძემ (თბილისის მაკარონის ფაბრიკა), ლ. პეტრიცინმ (საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი), კ. ჭავჭანიძემ (პურის მეოთხე ქარხანა), შავგულიძემ (სოხუმი), ტ. ჩაჩუამ (ფოთი) და სხვ.—სულ 14 კაცმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. ზ. კეცხოველმა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილემ მსუბუქი მრეწველობის დარგში ამხ. კ. ბარიგიანმა.

„კომუნისტის“ წერილების კვალდაკვალ

„საიმედოდ დავიცვათ მოსავალი“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 15 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული იყო კორესპონდენცია.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომის მდივანი ამხ. ი. წიქარიძე გვატყობინებს: ზოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა საკითხი განიხილა პარტრაიკომის ბიურომ.

სოფელ ძლევისჯვრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მარკოზაშვილი კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილებით მოხსნილია სამუშაოდან მოსავლის აღების საქმეში ჩამორჩენისათვის და სხვა ბრალდებების გამო. ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ჭიღლაძეს დაედო პარტიული სასჯელი.

რაიკომის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად გამოსწორებულია ნაკლოვანებანი მოსავლის აღებასა, დაცვასა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარებაში.

ამჟამად გაძლიერებული ტემპებით მიმდინარეობს მარცვლეულის ლეწვა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება.

ბულგარეთის მთავრობის ყაღბი მანევრები

(საკდესის მიმოგმხილველის სტატია)

როგორც ცნობილია, 26 აგვისტოს ბულგარეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ბულგარეთი მიიღო გადაწყვეტილება ბულგარეთის უთუო ნეიტრალიტეტის შესახებ.

ბულგარეთის მთავრობის ამ განცხადების მრავალრიცხოვან კომენტარში უცხოეთის პრესა სამართლიანად აღნიშნავს ხაზგასმით, რომ ეს განცხადება ნაკარნახევი იყო ახალი სიტუაციით, რაც იმის შედეგად შეიქმნა, რომ წითელმა არმიამ გერმანიის ჯარებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სამხრეთ უბანზე მიაყენა ახალი მძიმე დარტყმები, რომლებმაც ჰიტლერელთა მთელი ბალკანეთის ფლანგი სრული და საბოლოო განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა. წითელი არმიის და დასავლეთ ევროპაში მოკავშირეთა ჯარების გამარჯვებებმა, რომლებმაც გერმანია კატასტროფის წინაშე დააყენა, ხელი შეუწყო ბულგარეთის შიგნით ბაგრიანოვის მთავრობის პროჰიტლერული პოლიტიკის მიმართ ოპოზიციის აქტივობის ზრდას.

გერმანიის სამხედრო მდგომარეობის ახალი გაუარესებითა და ოპოზიციური წრეების პოლიტიკური აქტივობის გაძლიერებით შეშფოთებულმა და შეშინებულმა ბაგრიანოვის მთავრობამ მიმართა მანევრს, რასაც მიზნად ჰქონდა დაეწყნარებინა ბულგარეთის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც უკმაყოფილია იმით, რომ გრძელდება ბაგრიანოვის მთავრობის თანამშრომლობა ჰიტლერულ გერმანიასთან.

რამდენიმე დღის წინათ ბაგრიანოვი და საგარეო საქმეთა მინისტრი დრაგანოვი პარლამენტში გამოვიდნენ სიტყვებით, რომლებშიც ფარისევლურად აცხადებდნენ, რომ ისინი მშვიდობიანობისაკენ ისწრაფვიან და განზრახვა აქვთ გაატარონ ახალი დამოუკიდებელი და ნეიტრალური პოლიტიკა. ამავე დროს ისინი თავიანთ სიტყვებში ყოველნაირად ამართლებდნენ იმ პოლიტიკას, რომელსაც მთელი ომის განმავლობაში ეწეოდა პროჰიტლერული ხროვა ბულგარეთში, განცხადებებით იმის შესახებ, თითქოს ბულგარეთი იძულებული იყო მიმხრობოდა სამთა პაქტს. ამასთან დრაგანოვი არ მოერიდა ყალბ განცხადებასაც კი, ბულგარეთი სამთა პაქტს მხოლოდ იმატომ შეუერთდა, რომ სსრ კავშირს იმ დროს გერმანიასთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდაო.

ცდილობდა რა მოეტყუებინა ბულგარეთის საზოგადოებრივი აზრი, ბაგრიანოვმა პარლამენტში თავისი გამოსვლის წინ პარლამენტის ოპოზიციის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მათ დაიგვიანეს, ვინაიდან მთელი მათი მოთხოვნები მთავრობას თითქოს შეტანილი აქვს თავისი მოქმედების პროგრამაში საკუთარი ინიციატივით. ამ ყალბი მანევრით ბაგრიანოვმა მოახერხა შეცდომაში შეეყვანა ოპოზიციის ბევრი წარმომადგენელი, და როდესაც ბაგრიანოვის სიტყვას პარლამენტში იხილავდნენ, ეს სიტყვა ოპოზიციის მოუსაზრებლობის გამო მოწონებულ იქნა მთელი რიგი ოპოზიციური დეპუტატების მხრივ. დამახასიათებელია, რომ ცანკოვი და სხვა ჰიტლერელი აგენტები, რომლებიც მთელი ომის განმავლობაში ჰიტლერის პირდაპირ ხელშემწყობებად გამოდიოდნენ, თავდაპირველად აკრიტიკებდნენ ბულგარეთის მთავრობის „ახალ“ პოლიტიკას, შემდეგ კი მისთვის სრული მხარდაჭერა იწყეს. ბაგრიანოვის პოლიტიკისათვის მხარდაჭერის შესახებ განაცხადა აგრეთვე ყბადაღებულმა კოუუხაროვმა, რომელმაც ბულგარელ ხალხში მოიპოვა შავბნელი სახელი, როგორც გერმანელ ფაშისტთა გულმოდგინე ლაქიამ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბულგარეთის მთავრობა უკვე პირველი დღეებიდან არღვევდა და ახლაც არღვევს თავის განცხადებას ნეიტრალიტეტის შესახებ. ცნობილია, რომ გერმანიის შეიარაღებული გემები განგრძობენ დუნაის ბულგარეთის წყლებში და შავი ზღვის ბულგარეთის ნავსადგურებში ყოფნას, ბულგარეთის მთავრობას კი ფიქრადაც არ მოსდის ამ ხომალდებისა და მათი ეკიპაჟების ინტერნირება. ბულგარეთის ჯარები, ვითომც აქ არაფერიაო, ჰიტლერელ ოკუპანტებთან ერთად განაგრძობენ ბრძოლას იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის წინააღმდეგ, აგრეთვე ბერძენი ხალხის წინააღმდეგ ბულგარეთის მიერ ოკუპირებულ საბერძნეთის ტერიტორიებზე. ბულგარეთის მთავრობამ ბულგარეთში მყოფ გერმანიის ჯარებს სრული საშუალება მისცა წავიდნენ თავის იარაღიანად და საჭურვლიანად. გერმანიის შეიარაღებისა და საჭურვლის ნაწილს, რომელიც არ შეიძლება გატანილ იქნას გერმანელების მიერ, ბულგარეთის მთავრობა იღებს გერმანიის სავაჭრო ვალდებულებებით გათვალისწინებული გადასახდელების ანგარიშში. ბულგარეთის მთავრობის ეს გარიგება გერმანელებთან,—რაც დადებულია ბულგარეთის მიერ სრული ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გამოცხადების შემდეგ, ერთხელ კიდევ ზედმეტად მოწმობს ბულგარეთის მთავრობის ნამდვილ ზრახვებს და ადასტურებს, როგორც ყველა სხვა მოყვანილი ფაქტი, იმ აზრს, რომ ბაგრიანოვ-დრაგანოვის მთავრობას ნამდვილად ფიქრადაც არ მოსდის ძირითადი შებრუნება მოახდინოს თავის პოლიტიკაში და არ ფიქრობს ნამდვილად აიღოს ხელი ჰიტლერულ გერმანიასთან თანამშრომლობაზე.

ბულგარეთის პროპაგანდა, რომელიც დიდ ხმაურს სტეხს ნეიტრალიტეტის შესახებ ბულგარეთის მთავრობის განცხადების გარშემო, ამასთან ცდილობს გაავრცელოს ყოველგვარი ყალთაბანდური ხმები, ისიც კი, თითქოს საბჭოთა წრეებმა მოიწონეს ბულგარეთის მთავრობის ახლანდელი პოზიცია. ბულგარეთის მთავრობის ეს მანევრები გამომჟღავნებულია საკდესის მიერ 30 აგვისტოს გამოქვეყნებული უარყოფით, რომელშიც აღნიშნულია, რომ „საბჭოთა ხელმძღვანელ წრეებს ბულგარეთის მთავრობის მიერ გამოცხადებული ნეიტრალიტეტი შექმნილი ვითარების პირობებში სრულიად არასაკმარისად მიაჩნიათ“.

ბულგარეთის მთავრობის ყალბი მანევრები განწირულია ჩასაშლელად.

ნ. ბოდროვი

ლიუბლინში გაიხსნა წითელი არმიის მეომართა ძეგლი

ლიუბლინი, 28 აგვისტო (საკდესი). ლიუბლინში შესდგა საზეიმო-სამგლოვიარო მიტინგი წითელი არმიის იმ მებრძოლების ძეგლის გახსნის გამო, რომლებიც დაეცნენ ამ ქალაქის განთავისუფლებისათვის. გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში. ძეგლის გახსნაზე ათიათასობით ხალხი შეიკრიბა.

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ოსუპა-მოროვაკიმ. ტანჯვა-წამება პოლონელი და საბჭოთა ხალხებისა, რომლებმაც თავის თავზე გამოსცადეს ჰიტლერელ ბანდიტთა ოკუპაცია, —სთქვა მან,—ჩვენი ხალხებისა და ჩვენი მეომრების სისხლი, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღვრილი, გახდა ჩვენი მეგობრობის განმამტკიცებელი დუდაბი, საბჭოთა კავშირისადმი მეგობრულად განწყობილი ძლიერი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული პოლონეთის შექმნის საწინდარი. პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში დიდი შემობრუნება მოხდა. ოკუპა-მოროვსკიმ შემდეგ აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი ისწრაფვიან დაამყარონ ხანგრძლივი და ურღვევი მეგობრობა, შეჰქმნან მტკიცე მშვიდობიანობა ევროპაში. პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის ამ პოლიტიკამ, — ამბობს ორატორი, — გაგება და მხარდაჭერა ჰპოვა მთელი პოლონელი ხალხის მხრივ. პოლონელი ხალხი ლიტაციებით მიესალმება წითელ არმიას — განმათავისუფლებელ არმიას.

მიტინგის შემდეგ შესდგა სამხედრო პარადი და ლიუბლინის პროფკავშირთა წევრების მანიფესტაცია.

დუმბარტონ-ოქსის კონფერენციაში მონაწილე სამი დელეგაციის ხელმძღვანელთა ერთობლივი განცხადება

ვაშინგტონი, 29 აგვისტო (საკდესი). დუმბარტონ-ოქსში უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის საკითხზე მოლაპარაკების გახსნის შემდეგ გამართულ პირველ პრეს-კონფერენციაზე ამერიკის დელეგაციის თავმჯდომარემ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ სტეტინიუსმა გამოაცხადა, რომ მოლაპარაკების მონაწილეებმა მიაღწიეს საერთო შეთანხმებას უშიშროების ომისშემდგომი ორგანიზაციის ფორმის საკითხში. სტეტინიუსმა კორესპონდენტებს წაუკითხა ამერიკის, საბჭოთა კავშირისა და ინგლისის დელეგაციების ხელმძღვანელთა შემდეგი ერთობლივი განცხადება:

„ერთი კვირის მოლაპარაკების შემდეგ სამი დელეგაციის ხელმძღვანელები მოხარული არიან გამოაქვეყნონ ცნობა, რომ მათ შორის მიღწეულია საერთო შეთანხმება იმის რჩევის მიცემის საჭიროების შესახებ, რომ მშვიდობიანობისა და უშიშროების დაცვის მომავალმა საერთაშორისო ორგანიზაციამ გაითვალისწინოს:

ჯერ-ერთი, ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნის წარმომადგენლებისაგან სუვერენული თანასწორობის პრინციპის საფუძველზე შემდგარი ასამბლეის შექმნა;

მეორე, შექმნა წევრთა მცირე რიცხვისაგან შემდგარი საბჭოსი, რომელშიც, ძირითად სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან ერთად, უნდა შევიდნენ მთელ რიგ სხვა სახელმწიფოთა პერიოდულად არჩეული წარმომადგენლები;

მესამე, კონფლიქტების მშვიდობიანად გადაჭრის ეფექტიანი მეთოდები, მათ შორის საერთაშორისო სასამართლოს შექმნა იმ საკითხების მოსაგვარებლად, რომლებიც იურიდიული გზით უნდა გადაიჭრან, აგრეთვე სხვა ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც შეიძლება საჭირო აღმოჩნდეს მშვიდობიანობისა და უშიშროების დასაცავად.

დელეგაციები განაგრძობენ სხვადასხვა ორგანოების სტრუქტურისა და იურისდიქციის, აგრეთვე მათი მოქმედების მეთოდების განხილვას. ეს საკითხები გულდასმით განხილულ მოითხოვენ, და ამჟამად წარმოდგენილია მთელი რიგი წინადადებანი, რომელნიც შესწავლილ იქნებიან. ის გარემოება, რომ სხვადასხვა ქვეყნებმა სხვადასხვანაირი წინადადებანი შემოიტანეს, არ ნიშნავს უთანხმოებას ან საწინააღმდეგო თვალსაზრისთა არსებობას, არამედ გამომდინარეობს საერთო მიზნისადმი სხვადასხვანაირი მიდგომიდან. მას შემდეგ, რაც ჩვენი მუშაობა მიაღწევს იმ სტადიას, რომელზეც ჩამოყალიბებულ იქნება გულდასმით განხილული ჩვენი რეკომენდაციები და წარმოდგენილ იქნება ჩვენი დასკვნები, ჩვენი სათანადო მთავრობანი გადასწყვეტენ საკითხს, თუ როდის უნდა გამოქვეყნდეს ეს რეკომენდაციები“.

უნგრეთის მთავრობის შეცვლის გამო

ჟენევა, 30 აგვისტო (საკდესი). როგორც ჰიტლერული საგაზეთო ტრანსოკეანი გადმოგვცემს, უნგრეთის მთავრობაში, რომელიც გენერალმა ლაკატოშმა შეადგინა, შევიდა რამდენიმე ძველი მინისტრი. თავიანთ პოსტებზე დარჩნენ თავდაცვის მინისტრი გენერალი ჩატაი, ფინანსთა მინისტრი — რემენიი-შნელერი, მიწათმოქმედების მინისტრი — ბელა იურჩეკი, რომელიც შეასრულებს აგრეთვე მომარაგების მინისტრის მოვალეობას, შინაგან საქმეთა მინისტრი ბონცოში.

საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია ფელდმარშალი ენეპეი, იუსტიციის მინისტრად — ვლადარი, განათლებისა და კულტების მინისტრად — რაკოვსკი, ვაჭრობის მინისტრად—მარკოში, მრეწველობის მინისტრად — დიულაი.

ლაკატოშმა განაცხადა, რომ ახალი მთავრობის პროგრამაში შედის „ომის განგრძობა“. ლაკატოშმა ხაზგასმით აღნიშნა, „ამ საბედისწერო მძიმე დროს სულიერი კავშირი ფრონტსა და ზურგს შორის არასაკმაო იყოო“, და მკაცრი რეპრესიებით ემუქრებოდა იმათ, „ვინც ცდილობს დაარღვიოს წესრიგი და ღისციპლინა“.

ჩეხოსლოვაკიაში აარსებული მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 30 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ხელისუფალთა ცნობას, რომ ჩეხოსლოვაკიელმა პატრიოტებმა წინააღმდეგობა გაუწიეს გერმანიის ჯარებს, რომლებმაც სლოვაკიის ოკუპაცია მოახდინეს. ჩეხოსლოვაკიელმა პატრიოტებმა დაიკავეს ქალაქი ჩადეცა.

დღევანდელი ომი

ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების ბრძოლა

ლონდონი, 30 აგვისტო (საკდესი). ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია:

სამხრეთ საფრანგეთში ამერიკის მე-7 არმიის ნაწილებმა მძიმე ზარალი მიაყენეს ძოწინააღმდეგეს რონის ხეობაში, მონტელიმარის ჩრდილოეთით, სადაც ბრძოლები გრძელდება.

რონის დასავლეთით ფრანგთა ჯარების მეწინავე ნაწილებმა ბანიოლს მიაღწიეს. აღმოსავლეთ ფლანგზე ამერიკის ჯარები მაგრდებიან მდინარე ვარის დასავლეთ ნაპირის პოზიციებზე. უკანასკნელი ცნობებით, ბრძოლების განმავლობაში ტყვედ წამოყვანილია დაახლოებით 45 ათასი კაცი.

იტალიაში მე-8 არმია განაგრძობს ფარული ფრონტით წინსვლას „გუთური ხაზის“ მიმართულებით.

მე-5 არმიის ფრონტზე გრძელდება ჰატრულთა აქტიური მოქმედება.

მძიმე ბომბდამშენთა დიდმა შენაერთებმა აეროგამანადგურებელთა თანხლებით 29 აგვისტოს ღამით ინგლისის „მოსკიტოს“ მარკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ფრანკფურტს. 30 აგვისტოს ნაშუადღევს ამერიკის თვითმფრინავ „მფრინავი სიმაგრეების“ დიდი შენაერთები თავს დაესხნენ ობიექტებს კოლსა და ბრემენში.

ლონდონი, 31 აგვისტო (საკდესი). საბომბარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია:

იტალიაში ფრონტის ადრიატიკის სექტორში მე-8 არმიის პატრულებმა ფართო ფრონტით გადალახეს მდინარე ფოლია. მათ შეეპოვარ წინააღმდეგობას უწევს მტერი, რომელსაც პოზიციები უკავია „გუთურ ხაზზე“. მდინარის ჩრდილოეთ ნაპირს რომ მისდევს, აპენინის მთების ძნელად გასავლელ სექტორში დაკავებულია ქალაქი ურბინო. პონტასიევეს ჩრდილოეთით მე-8 არმიის ნაწილებს უფრო ძლიერ წინააღმდეგობას შეხვდნენ. მაგრამ ახალი დიდმნიშვნელოვანი პოზიციები დაიკავეს. მე-5 არმიის სექტორში არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

სამხრეთ საფრანგეთში მე-7 არმიის ნაწილები წინსვლას განაგრძობენ ჩრდილოეთისაკენ მდინარე რონის ხეობით. რვიერაზე ამერიკის ჯარებმა წინ წაიწიეს აღმოსავლეთისაკენ ნიცაზე გავლით. ალპებში მტრის ჯარები აქტივობას იჩენდნენ იტალიის საზღვარზე მდებარე რამდენიმე უღელტეხილის ახლოს.

მოკავშირეთა ხმელთაშუა ზღვის ავიაციის 1.000-ზე მეტი თვითმფრინავგადაფრენა მოადინა.

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი საჰდლობის შტაბის ცნობები

ლონდონი, 30 აგვისტო (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი საჰდლობის შტაბის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც განაგრძობენ სწრაფ შეტევას პარიზს იქით, გადასჭრეს მდინარე ენი და მარნა მის ზემოწელში. მოკავშირეთა სხვა ნაწილები მარნის დასავლეთ ნაპირზე იმყოფებიან შალონ-სიურ-მარნის სამხრეთით ერთ მილზე ნაკლებ მანძილზე. დაკავებულია შატო-ტიერი მარნაზე. მოკავშირეთა ჯავშანსატანკო ნაწილებმა წინ წაიწიეს ჩრდილოეთით სუასონისაკენ და შეჰქმნეს ხიდწინა სიმაგრე მდინარე ენზე პონტარსში (14 მილზე სუასონის აღმოსავლეთით). მოკავშირეთა ჯარებმა გადასჭრეს პარიზ-რუანის გზა.

მოკავშირეთა ჯარები დაახლოებით ხუთ მილზე იმყოფებიან რუანის ცენტრის აღმოსავლეთით.

ბრეტანში გრძელდებოდა გაფთრებული ბრძოლები ბრესტთან. მოკავშირეთა ჯარები ნელა უახლოვდებიან ნავსადგურს.

29 აგვისტოს ავიაციის მოქმედება შეზღუდული იყო ცუდი ამინდის გამო.

ფრანკფურტის, კიელისა და ბრემენის დაბომბვა

ლონდონი, 31 აგვისტო (საკდესი). ლონდონში ოფიციალურად გამოქვეყნდა, რომ 29 აგვისტოს ღამით ინგლისის „მოსკიტოს“ მარკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ფრანკფურტს. 30 აგვისტოს ნაშუადღევს ამერიკის თვითმფრინავ „მფრინავი სიმაგრეების“ დიდი შენაერთები თავს დაესხნენ ობიექტებს კოლსა და ბრემენში.

განთავისუფლებულ კარიზში

ალჟირი, 30 აგვისტო (საკდესი). როგორც ალჟირის რადიო გადმოგვცემს, პარიზი წესრიგში მოჰყავთ. ქალაქის მოსახლეობა ქუჩებს სწმენდს ბარიკადებისაგან. ქუჩებში გამართულ ბრძოლების დროს დამტვრეულ მაღაზიების ვიტრინებს მინებს უკეთებენ. ახსნილი მაღაზიები და სასადილოები. დაპატიმრებულ არიან გერმანელთა ცნობილი ხელშემწყობნი.

დანიის მოსახლეობა აღნიშნავს თავის მეგრძოლთა ხსოვნას

სტოკჰოლმი, 30 აგვისტო (საკდესი). დანიის „თავისუფლების საბჭოს“ მოწოდებით, გუშინ დღის 12 საათზე დანიის მოსახლეობამ ორი წუთის დუმილით აღნიშნა იმ დანიელების ხსოვნა, რომლებიც შარშან დანიაში მომხდარი ამბების მსხვერპლნი გახდნენ.

ზეზვინის, კენიგსბერგის, ბერლინისა და ჰამბურგის დაბომბვა

ლონდონი, 30 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის ბომბდამშენთა დიდი შენაერთები 29 აგვისტოს ღამით თავს დაესხნენ გერმანიას. ი